ხელშეკრულება № 6
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

1 ოქტომბერი 2013

ქ. თბილისი

სსიპ „გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცის საჯარო სკოლა" (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი **დირექტორის ელიზავეტა ხაბაზიშვილის** სახით, და **შპს „დამოუკიდებელ შემფასებელთა და აუდიტორთა კომპანია აუდიტესკორტი"**(შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **მინდია ტაბაღუას** სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის თანახმად, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1. **ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:** (შემდგომში: „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. **ხელშეკრულების ღირებულება:** საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. **„დღე", „კვირა", „თვე"** - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

1.4. **„შემსყიდველი"** - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. **„მიმწოდებელი"** - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6. **„მომსახურება"** - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია **სსიპ „გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცის საჯარო სკოლა"-სთვის** აუდიტორული მომსახურების შესყიდვა შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებაში არსებული 15.00 კვ.მ. კვების ბლოკის ფართის და სახურავზე განთავსებული 1.00 კვ.მ. ფართის (ინტერნეტ- აპარატურის განთავსებისათვის) ყოველთვიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულების განსაზღვრა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **(CPV79212000);**

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა **100 (ასი) ლარი;**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

4.მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების 2-ე ნაწილში მითითებული ქონების ყოველთვიური საიჯარო ღირებულების განსაზღვრა და შესაბამისი საიჯარო ღირებულების შესახებ დასკვნის მომზადება;

4.1.2. საიჯარო ღიებულების შესახებ დასკვნა შემსყიდველს ჩააბაროს ორ ეგზემპლარად, სათანადო წესით შედგენილი და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირების მიერ.

4.1.3. საიჯარო ღირებულების შესახებ დასკვნების მიწოდება შემსყიდველისათვის განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

4.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

4.2.1. შემსყიდველის მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

4.3. შემსყიდველი ვალდებულია:

4.3.1. განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება;

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

4.4.1. მიმწოდებლისაგან მოითხოვოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში;

4.4.2. შეამოწმოს მომსახურების გაწევის ხარისხი, მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

„შემსყიდველი" _____ „მიმწოდებელი" _____

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. ანგარიშწორება „შემსყიდველი"-ს მიერ მოხდება შეფასების დასკვნების მიწოდებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში მომწოდებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

5.2. ანგარიშსწორები ვალუტა: ლარი;

5.3. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

6. მიღება-ჩაბარების წესი:

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი;

6.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

6.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება **სსიპ „გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცის საჯარო სკოლის" დირექტორს ელიზავეტა ხაბაზიშვილს.**

7. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

7.1. მომსახურების გაწევის ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - საქართველო, გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიცი;

7.2. მომსახურების გაწევა უნდა **განხორციელდეს 2013 წლის 1 ოქტომბრიდან 5 ოქტომბრამდე.**

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების **კონტროლს განახორციელებს სსიპ „გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცის საჯარო სკოლის" დირექტორი ელიზავეტა ხაბაზიშვილს.**

8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს;

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არსებითად დარღვევისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა და ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით;

9.3. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

9.4. არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო მომსახურების გაწევა. ამასთან არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 9.5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

9.5. მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს მომსახურების გაწევის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებისპირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე

„შემსყიდველი"_____ „მიმწოდებელი"_____

უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუზლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 1 ოქტომბერს და მოქემდებს 2013 წლის 5 ნოემბრამდე.

14. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები:

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე;

14.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო ერთი - „მიმწოდებელთან".

15. მხარეთა ხელმოწერები:

„შემსყიდველი"

სსიპ „გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცის საჯარო სკოლა"
იურიდიული მის: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიცი

ს/ნ: 218049109

დირექტორი

ელიზავეტა ხაბაზიშვილი _____

„მიმწოდებელი"

შპს „დამოუკიდებელ შემფასებელთა და აუდიტორთა კომპანია აუდიტესკორტი"
იურიდიულიმის: ქ. თბილისი, დოლიძის 1, ბინა 28;
საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი"
ანგ. № GE47BG0000000294791500 GEL,
კოდი BAGAGE22,

ს/ნ: 205229439

დირექტორი,
მინდია ტაბაღუა _____

„შემსყიდველი"_____„მიმწოდებელი" _____

მიღება–ჩაბარების

ა ქ ტ ი №___

2 ოქტომბერი 2013 წ.

თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ „გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცის საჯარო სკოლა“ (შემდგომში _ შემსყიდველი) მისი დირექტორის ელიზავეტა ხაბაზიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „დამოუკიდებელ შემფასებელთა და აუდიტორთა კომპანია აუდიტესკორტი“-ს (შემდგომში _ მიმწოდებელი) დირექტორის მინდია ტაბაღუას სახით, ვადგენთ აქტს მასზედ, რომ შემსრულებელმა შეასრულა მხარეთა შორის 2013 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული საშემფასებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. კერძოდ, შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებაში არსებული 15.00 კვ.მ. კვების ბლოკის ფართის და სახურავზე განთავსებული 1.00 კვ.მ. ფართის (ინტერნეტ- აპარატურის განთავსებისათვის) ყოველთვიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულების განსაზღვრა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით და შესაბამისად აუნაზღაურდება მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული

<u>100 (ასი) ლარი</u>

დადგენილ ვადებში. მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით.

ხელმოწერები:

„შემსყიდველის“ სახელით:

ელიზავეტა ხაბაზიშვილი

.....

„მიმწოდებლის“ სახელით:

მინდია ტაბაღუა

.....

AUDITESCORT

205229439